www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 23 ნოემბერი, 2013 წელი. | №3414 (221) | ფასი 50 თეთრი

უკრაინის მთავრობამ ხალხი და დასავლეთი შოკში ჩააგდო

კმაყოფილი მხოლოდ რუსეთია

ივა შილაკაძე

უკრაინის ხელისუფლების უარმა, მოაწეროს ხელი ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებს, ქვეყანაშიც და ევროკავშირშიც ძალიან მძიმე რეაქცია გამოიწვია. დასავლეთმა არ დაიშურა მკვეთრი დიპლომატიური და არა მხოლოდ დიპლომატიური განცხადებები.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ხელისუფლება სამხედროებს შეხვდა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე დანიშნა, რომელმაც ამ თანამდებობაზე პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე შეცვალა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

უკრაინა შეჩერდა, საფრთხე საქართველოს ემუქრება

უკრაინის ხელისუფლებამ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მზადების პროცესი შეაჩერა. ოფიციალურ მიზეზად რუსეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება დასახელდა.

ევროკავშირი უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულია.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების პროცესი რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ზეწოლისა და შანტაჟის გამო შეჩერდა.

უკრაინის ხელისუფლების აღნიშნულ გადაწყვეტილებას თბილისში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უკრაინის უარს უარყოფითად აფასებს, თუმცა აცხადებს, რომ უკრაინის გადაწყვეტილება საქართველოზე გავლენას ვერ მოახდენს.

„არის შანსი, რომ ეს საკითხი ბოლო მომენტში, ვილნიუსის სამიტზეც კი გადაწყდეს. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, რომ ამ ევროინტეგრაციულ პროცესში უკრაინაც იყოს ჩართული, მაგრამ ჩვენ ჩვენივე გეგმით, ჩვენ წინაშე დასახული ამოცანებით რეალურად განვაგრძობთ გზას ევროინტეგრაციის პროცესის გაღრმავებისკენ,“ - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის შეფასებით, იმ ფაქტმა, რომ უკრაინამ ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“ უარი თქვა, შესაძლოა, საქართველოს ევრონტეგრაციის პროცესზე დადებითად იმოქმედოს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

რიგაში სავაჭრო ცენტრის ჩამონგრევას მსხვერპლი მოჰყვა

ივა შილაკაძე

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს საღამოს რიგის გარეუბანში სავაჭრო ქსელ „მაქსიმას“ ერთ-ერთი შენობა ჩამოინგრა, რასაც, სულ ცოტა, 45 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. დაშავდა, დაახლოებით, 40-დან 50-მდე. დაღუპულებს და დაშავებულებს გუშინ, საღამოს, ნანგრევებში კიდევ ეძებდნენ. სავრაუდოდ, იქ ადამიანები კიდევ არიან და მსხვერპლის რაოდენობაც შეიძლება, გაიზარდოს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		31°C - 20°C
ქუთაისი		33°C - 20°C
ზუგდიდი		32°C - 21°C
ბათუმი		27°C - 21°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

მოდით სტადიონზე - დღეს დიდი რაგბია!

გიგა გურასაშვილი

დღეს სამოას ვუმასპინძლებთ და შემოდგომის ტესტმატჩებიც დასრულდება. სამოა წმინდა სარაგბო-სასეირო კუთხით გემრიელი ლუკმაა და მათი ნახვა ღირს, მით უმტეს მაშინ, როცა საქართველოს ნაკრებს ხვდება. სამოას დარი გუნდები კი საქართველოში დიდი იშვიათობაა - სამხრეთელები ხელდახელ თამაშობენ და ჩრდილოელთათვის დამახასიათებელ აგრესიულ ბურთაობაზეც არ ამბობენ უარს.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

სხეულის სამყაროები, აგურების ხელოვნება და ჩაძირული ხომალდები

გვ. 5

თვითმმართველობის რეფორმა და ტრადიციული „9 წელიწადი"

ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების მინისტრმა დავით ნარმანიამ „ქორთიარდ მარიოტში" გამართულ კონფერენციაზე თვითმმართველობის კოდექსის პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტებისა და პარლამენტის წევრების წინაშე წარადგინა.

ნარმანიას თქმით, მთავრობის უმთავრესი პრინციპი არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლებასა და ამომრჩეველს შორის სიახლოვის უზრუნველყოფაა. **„მოსახლეობამ განცხადებები სამინისტროებს, პრემიერ-მინისტრს ან პრეზიდენტს კი არ უნდა გაუგზავნონ, არამედ ადგილობრივ დონეზე პრობლემები არჩეულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს. ადგილობრივ ხელისუფლებას დამატებითი რესურსები და რეალური ბიუჯეტი ექნება,"** - ამბობს მინისტრი.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ თვითმმართველობის კოდექსის შესახებ ალტერნატიული წინადადებები წარადგინა. როგორც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის დირექტორი დავით მელუა ამბობს, თვითმმართველობის კანონში რეგიონული მმართველობის საკითხის შეტანა მიუღებელია. **„რეგონის გუბერნატორს თვითმმართველობასთან ხელი არ უნდა ჰქონდეს,"** - დასძენს იგი.

კანონპროექტის ავტორთა მიმართ უკმაყოფილებას პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე უსაფრთხოების ასპექტების გაუთვალისწინებლობის გამო გამოთქვამს.

„კანონპროექტის მიხედვით, საქმე გვაქვს არა მხოლოდ თვითმმართველობის არჩევის ახალ მოდელთან, არამედ, ფაქტობრივად, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ახალ შეთავაზებასთან. გათვლილი არ არის, ეს რა რისკებს შეიძლება შეიცავდეს ისეთ მრავალეთნიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. მაგალითად, ალტერნატიული პროექტის ავტორები კანონპროექტში არსებული ლაფსუსის შესახებ მიუთითებენ, რომლის თანახმად, თუ თელავი თვითმმართველი ქალაქის სტატუსს მიიღებს, დანარჩენ რაიონს ყარაჯალის რაიონი უნდა ეწოდოს, რადგან იქ ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები დიდ ნაწილს წარმოადგენენ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიგი წერეთელი მიიჩნევს, რომ ზოგადად არჩევითობის ხელშეწყობა მისასალმებელია, მაგრამ მთავარია უფლებამოსილების, კომპეტენციების შესახებ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ქვეყნის განვითარებას არ შეაფერხებს და სერიოზულ ინსტიტუციურ კონფლიქტებს არ გამოიწვევს.

უმცირესობის წევრ მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, თვითმმართველობის კოდექსის პროექტი „წყალზე ნაწერია". პარლამენტარისთვის გაუგებარია, რა თანხებით აპირებს ხელისუფლება იმ რეფორმის განხორციელებას, რასაც პარლამენტში ინიცირებული პროექტი ითვალისწინებს. **„პროექტით ადგილობრივი თვითმმართველობები იყოფა. ბიუჯეტზე მსჯელობისას ჩვენ ვკითხულობდით, რამდენად გაზრდის ხარჯებს ის, რომ, მაგალითად, ქობულეთში სამი თვითმმართველობა იქნება, რადგან ამას სახელმწიფო დაწესებულებები, დასაქმებული ხალხი და ბიუჯეტი სჭიერდება. ეს თანხა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში ვერ ვნახე,"** - ამბობს მაჭავარიანი.

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ჟორჟოლიანის შეფასებით, რეფორმა თვითმმართველობის ავტონომიის რადიკალურ ზრდას ითვალისწინებს, რაც დეცენტრალიზაციას გულისხმობს. ამასთან, როგორც ჟორჟოლიანი აღნიშნავს, ჩართულობის ახალი მექანიზმის, საზოგადოებრივი თვითმმართველობების შექმნა იგეგმება. მისი თქმით, რეფორმა გრძელვადიანი იქნება.

უმცირესობის კიდევ ერთი წევრი აკაკი ბობოხიძე შენიშნავს, რომ რეფორმის განცორციელებას არა მხოლოდ პირველ ეტაპზე, არამედ ზოგადად დიდი ფული სჭირდება. **„ფულის ხარჯვის პრობლემას ვერ ვხედავ, თუ ეს ყველაფერი ეფექტური და მოსახლეობისთვის კომფორტული იქნება. თუ თანხა დაიხარჯება, მაგრამ მოსახლეობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება?"** - დაინტერესდა ბობოხიძე.

კონფერენციაზე კამათის თემად ყოფილი ხელისუფლების 9-წლიანი საქმიანობის შეფასება იქცა. **„ყველას ჩვენ-ჩვენი 9 წელიწადი გვაქვს და ციდან არავინ ჩამოვფრენილვართ, მათ შორის არც დავით ნარმანია და არც ირაკლი მელაშვილი. თქვენი წარსულით მოდიხართ და 9 წელიწადის შესახებ გვესაუბრებით. 10 წელზე საუბარს როცა დაიწყებთ, უკვე ეს თქვენ შეგეხებათ,"** - მიმართა აკაკი ბობოხიძემ მინისტრსა და მთავრობის კანცელარიის რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროს ირაკლი მელაშვილს. **„კაკო, რა უნდა შემეხოს, შენი და ჩემი 9 წელი ერთი და იგივეა?"** - საპასუხოდ აღნიშნავს დავით ნარმანია. **„დათო, ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი და შენი 9 წელი ერთი და იგივე იყოს. 20 წელია, ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩემი ცოდნით, პლუსითა და მინუსით ვმონაწილეობ, განსხვავებით თქვენგან, ვინც ბიძინა ივანიშვილმა მზამზარეულზე მოგიყვანათ,"** - შეეპასუხა მინისტრს ბობოხიძე.

საკუთარი ინფორმაცია

ვანო მერაბიშვილი: არც ერთი მოწმე ჩვენ საწინააღმდეგოდ ჩვენებას არ მისცემს

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და კახეთის რეგიონში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც ე.წ. დასაქმების საქმეს ეხება, გრძელდება.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების მოწმეები დაიკითხნენ.

„ბრალდების მოწმეებს ვკითხავთ. უკვე 60-ზე მეტი ადამიანი გვყავს დაკითხული და მათგან არავის დაუდასტურებია მერაბიშვილის და ჭიაბერაშვილის ბრალეულობა," - განაცხადა ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

სასამართლო პროცესზე ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ არც ერთი მოწმე მისი და ჭიაბერაშვილის საწინააღმდეგო ჩვენებას არ მისცემს.

„4000 კი არა, 4 მილიონი მოწმე რომ მოიყვანოს ივანიშვილმა, ვერც ერთი მისცემს ჩვენ საწინააღმდეგო ჩვენებას.

იმდენად გეშინიათ ჩვენი, ასე გვებრძვით. მოსამართლე სისტემატურად ნიშნავს პროცესებს, რათა 300 კაცი მაინც დაკითხოს და თავისი უკანონო გადაწყვეტილება გაამართლოს, მაგრამ თქვენ არ მოგეცემათ უკანონო გადაწყვეტილების მიღების საშუალება, რადგან არც ერთი მოწმე ჩვენ საწინააღმდეგო ჩვენებას არ მისცემს," - განაცხადა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, მოსამართლე პროკურატურისა და ივანიშვილის დავალებას ასრულებს.

ვანო მერაბიშვილის სიტყვას მოსამართლემ ნათია ბარბაქაძემ უპასუხა. მისი განმარტებით, პროცესების ხშირად ჩანიშვნა საქმის მოცულობიდან გამომდინარეობს. მოსამართლემ მერაბიშვილს განცხადების გაკეთებისას კორექტულობისკენ მოუწოდა.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი მოწმის ზურაბ აბაშიას ჩვენებამ ხმაური გამოიწვია.

აბაშიამ განაცხადა, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლო აგიტაციას ეწეოდა.

„მე ზემოქმედებას ვახდენდი მოსახლეობაზე, რაც სიმართლე იყო, იმას ვლაპარაკობდი," - განაცხადა აბაშიამ.

ვანო მერაბიშვილი დაინტერესდა, საპრეზიდენტო არჩევნებზე მოწმე კვლავ აგრძელებდა თუ არა „ნაციონალური მოძრაობის" აგიტაციას იმ ფონზე, როდესაც ის პროკურატურაში დაკითხვაზე იყო დაბარებული.

მოწმის დადებით პასუხს მერაბიშვილისა და დაბრაზში მყოფი საზოგადოების ტაში მოჰყვა, რამაც მოსამართლე გააღიზიანა. მოსამართლემ მერაბიშვილი და პროცესზე დამსწრე საზოგადოება გააფრთხილა, რომ თუ მერაბიშვილის ტაშს ვინმე აჰყვებოდა, მათ დაჯარიმება, დაპატიმრება ან დარბაზიდან გაძევება ემუქრებოდათ. მერაბიშვილმა მოსამართლეს მიუგო, რომ იგი ტაშს მაინც დაუკრავდა.

ამასთან, ვანო მერაბიშვილმა გუშინდელი სასამართლო პროცესის შესახებ"ფეისბუქით" განცხადება გაავრცელა.

მერაბიშვილი წერს, რომ გასული ექვსი თვის განმავლობაში მის საქმეზე, პროკურატურის დაკვეთით, საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრაქტიკულად ყველა ძირითადი მოთხოვნა დაირღვა.

„როგორც ხედავთ, ჩვენ კვლავ ვიმყოფებით ქუთაისის სასამართლოში, სადაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ოპონენტების მიმართ პოლიტიკური სასამართლო პროცესი გრძელდება. ეს არის სასამართლო, რომელიც ივანიშვილის პროკურატურამ სპეციალურად შეარჩია მის მიმართ ლოიალურობისა და მორჩილების ნიშნით. მინდა, შეგახსენოთ, რომ ამ სასამართლომ, ივანიშვილის პროკურატურის პირდაპირი დაკვეთით, გასული ექვსი თვის განმავლობაში ჩვენს საქმეზე საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრაქტიკულად ყველა ძირითადი მოთხოვნა დაარღვია. ამ სასამართლომ არსებით განხილვებზე დასაკითხად პროკურატურას დაუმტკიცა მოწმეთა უპრეცედენტო რაოდენობა - 3969 მოწმე. მოწმეთა აღნიშნული რაოდენობა პროკურატურას სჭირდება, რათა მათ ამოეფაროს ჩემ წინააღმდეგ პოლიტიკური დევნის დროს. ანალოგიური მცდელობა აქვს ქუთაისის სასამართლოს, რათა დაკითხოს მოწმეები მაქსიმალურად დიდი რაოდენობით და ამოეფაროს მათ რაოდენობას, მათი ჩვენებების მხედველობაში მიღების გარეშე. დამატებით უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება - ივანიშვილის პროკურატურა, მის მორჩილ სასამართლოსთან ერთად, ცდილობს, რომ მაქსიმალური დისკომფორტი შემიქმნან და ხშირად მატარონ 600-კილომეტრიან გზაზე, რათა ვერ მოვახდინო კონცენტრირება და ვერ დავიცვა ჩემი უფლებები. აქამდე გამართულმა ყველა სასამართლო პროცესმა აჩვენა, რომ ივანიშვილის პროკურატურას არ აქვს მტკიცებულებები. ისინი ქუთაისის სასამართლოს მეშვეობით ცდილობენ, რაც შეიძლება გაახანგრძლივონ ჩემი უკანონო პატიმრობა, რაც შეიძლება გააწვალონ მოწმეები, რომლებიც, ზეწოლის მიუხედავად, ჩემი ან ზურაბ ჭიაბერაშვილის ბრალეულობაზე არ საუბრობენ და ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელონ, რათა მე ბრძოლა შევწყვიტო. გარდა ამისა, უპრეცედენტო რაოდენობის მოწმეების დაკითხვებზე და შემდგომ სასამართლო პროცესებზე ტარება მიზნად ისახავს, ზეწოლა მოახდინონ ჩვენს აქტივისტებზე და დისკომფორტი შეუქმნან მათ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან" ურთიერთობის გამო. მინდა, ვუთხრა ბიძინა ივანიშვილს და მის მორჩილ კონფორმისტებს პროკურატურასა თუ სასამართლოში, უკანონო პატიმრობით, სპეციალურად აქეთ-იქით ხშირად ტარებითა და ამ უაზრო სასამართლო პროცესებით ვერ შეგვაშინებენ და ვერ გაგვტეხენ, მათ ამის იმედი ტყუილად აქვთ.

ჩვენ ყველა ასპარეზზე ვაგრძელებთ და კვლავაც გავაგრძელებთ სამართლებრივ და პოლიტიკურ ბრძოლას და ეს ბრძოლა მიდის არა ჩემი თავისუფლების, არამედ საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისა და გაძლიერებისთვის," - აღნიშნულია განცხადებაში.

ვანო მერაბიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანასკნელ მონაცემებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა შევარდნაძე-თარგამაძის სტატისტიკას დაემსგავსა.

„აქვე მინდა, გამოვეხმაურო შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანასკნელ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც 2013 წლის პირველ 10 თვეში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 59 პროცენტი იყო, რაც მკვეთრად აღემატება წინა, 2012 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვნებელს - 18.5 პროცენტს. გარდა ამისა, სამინისტროს ცნობით, ამავე პერიოდში 2013 წელს, დაახლოებით, 24 000 დანაშაული მოხდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2012 წელს 31 000 იყო.

მსგავსი სტატისტიკის გამოქვეყნება შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი იყო საზოგადოების იმ რეაქციაზე, რაც ციხეებიდან პატიმრების მასობრივ გათავისუფლებას და, შესაბამისად, კრიმინალის ზრდას მოჰყვა.

ცნობისათვის, დაახლოებით 15 000 ადამიანი გათავისუფლდა საპატიმროებიდან. შედეგად მივიღეთ ძალიან პარადოქსული სურათი - ციხეებიდან პატიმრების მასობრივმა გათავისუფლებამ დანაშაულის მაჩვენებელი კი არ გააუარესა, არამედ გაუმჯობესა კიდეც.

როგორ ავხსნათ ეს ანომალიური მოვლენა?

ვერსია 1: აქამდე ციხეში მხოლოდ პატიოსანი ადამიანები ისხდნენ და როგორც კი ისინი „უკანონო" პატიმრობიდან გათავისუფლდნენ, არა თუ უარი თქვეს, თავად ჩაედინათ დანაშაული, არამედ სხვა გარეთ მყოფი კრიმინალებიც დაარწმუნეს, თავი შეეკავებინათ ამისგან. ჩემი განათლება და გამოცდილება არ მაძლევს საშუალებას, ვირწმუნო ამ ვერსიის სანდოობა.

ვერსია 2: შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა, ფურცელზე მაინც გაეუმჯობესებინა სიტუაცია და ამით შეეცვალა საზოგადოებრივი აზრი.

შედეგად მივიღეთ ის, რომ შემცირდა დანაშაულის რეგისტრაცია (და არა ჩადენილი დანაშაული) და, შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა გახსნის მაჩვენებელი.

საინტერესოა, რომელ ქვეყნებში ვაწყდებით დანაშაულის გახსნის ანალოგიურ მაჩვენებლებს. საილუსტრაციოდ გთავაზობთ იმ ქვეყნების ჯგუფს, რომელთაც მსგავსი მაჩვენებლები აქვთ:

I ჯგუფი

- უკრაინა (2011 წელი) - 57 პროცენტი
- რუსეთის ფედერაცია (2012 წელი) - 54 პროცენტი
- საქართველო (2003 წელი) - 76 პროცენტი
- საქართველო (2013 წელი) - 59 პროცენტი

საინტერესოა, რომელ ჯგუფში იყო საქართველო 2012 წელს გახსნის „დაბალი" მაჩვენებლით:

II ჯგუფი

- აშშ (2012 წელი) - 22,3 პროცენტი
- ჩეხეთი (2009 წელი) - 38 პროცენტი
- შვედეთი (2010 წელი) - 31 პროცენტი
- ნორვეგია (2010 წელი) - 29 პროცენტი
- საქართველო (2012 წელი) - 18.5 პროცენტი.

სულაც არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა შევარდნაძე-თარგამაძის სტატისტიკას დაემსგავსა. დღეს ამ უწყებას სწორედ იმ ეპოქის საყრდენი მილიციელები - ტაბატაძე, ბედია და სხვები მართავენ," - განაცხადა მერაბიშვილმა.

ამასთან, გუშინ განცხადება გაავრცელა ვანო მერაბიშვილის მეუღლემ თაკო სალაყაიამაც.

მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ვანო მერაბიშვილი წერილებს ვერ პასუხობს, თითოეულ კითხვას პასუხს თავად გასცემს.

„ძვირფასო მეგობრებო, ჩემი მეუღლის გვერდზე უამრავი პირადი წერილი მოდის. ბევრი, უბრალოდ, მხარდაჭერას გამოხატავს, ბევრს შეკითხვები და მოსაზრებები აქვს. ვანო, მისი მდგომარეობის გამო, ბუნებრივია, ვერ ახერხებს თქვენს წერილებსა და კითხვებზე პასუხის დროულად გაცემას. ამიტომ დღეიდან მე შევეცდები, გადავცე მას თქვენი წერილების შინაარსი და მისი სახელით მაქსიმალურად გიპასუხოთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე. დიდი მადლობა აქტიურობისთვის," - წერს თაკო სალაყაია.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ხელისუფლება სამხედროებს შეხვდა

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

განკარგულების ხელმოწერამდე საქართველოს პრეზიდენტმა შეიარაღებული ძალების შტაბის ყოფილ და ახალ უფროსებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია.

მარგველაშვილმა ბრიგადის გენერალ ვახტანგ კაპანაძეს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა.

პრეზიდენტმა მოგვიანებით ვაზიანის მე-4 მექანიზებულ ბრიგადაში ქართველი სამხედროების დაჯილდოების ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა.

გიორგი მარგველაშვილმა ჯარისკაცებს მიმართა. პრეზიდენტის შეფასებით, ფასდაუდებელია მე-4 ბრიგადის ღვაწლი სამშობლოსა და გლობალური უსაფრთხოების და მშვიდობის დაცვის საქმეში. როგორც პრეზიდენტი ამბობს, მე-4 მექანიზირებული ბრიგადა პირველი ოპერატიული პოლკის სამართალმემკვიდრეა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე შეიქმნა. **„ამ შენაერთს უდიდესი საბრძოლო გამოცდილება აქვს. ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან თქვენ ერთგულად იდექით და დგახართ სამშობლოს უსაფრთხოების სადარაჯოზე და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ გლობალური უსაფრთხოების დაცვაში, მათ შორის, ავღანეთში აისაფის მისიაში მონაწილეობით.**

საქართველოს მოქალაქეთა სახელით, მადლობას გიხდით ქვეყნის უსაფრთხოებისა და ერთიანობის მსახურებისთვის. ჩვენ ვამაყობთ თქვენით. ჩვენს ხალხს მშვიდად სძინავს იმის გამო, რომ თქვენ მწყობრში დგახართ. თქვენი სიძლიერე, ცოდნა და გამოცდილება - ჩვენი უსაფრთხოების უმთავრესი გარანტიაა. თქვენი მხედრული მიღწევები, რომლებსაც დღეს აღვნიშნავთ, ჩვენი ხალხისთვის საამაყოა. მადლობა, სამსახურისთვის.

თქვენთან ერთად მადლიერებას გამოვხატავ საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი. მათი მხარდაჭერა ჩვენი თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების განვითარებაში ფასდაუდებელია. ვაცხადებთ რა ნებისმიერი პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას ქვეყნის უცვლელ კურსად, ჩვენ მოვალენი ვართ, მუდმივად ვიზრუნოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე,“ - ამბობს საქართველოს პრეზიდენტი.

მარგველაშვილი ჩინელი მხედართმთავრისა და სამხედრო თეორეტიკოსის სუნ ძის სიტყვებს ციტირებს: **„ყველაზე უკეთესია, დაამარცხო სხვისი არმია უბრძოლველად. ყველაზე უკეთესი ომია, მოსპო მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი.“** როგორც მარგველაშვილმა თქვა, საქართველოს მიზანია შეიარაღებული ძალების მომზადების ისეთ დონეს მიაღწიოს, რომელიც ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ბრძოლის სურვილს დაუკარგავს. **„დიახ, მშვიდობა ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტია. მაგრამ თუ სამშობლოს დასჭირდება, ყოველი ჩვენგანი მზად იქნება, მისთვის თავი გაწიროს.**

და მე ვიცი, რომ ასეთ დროს თქვენ კვლავაც პირველ რიგებში იდგებით და თავდადების მაგალითებს მისცემთ სხვებს. ამიტომ, ამ საზეიმო ღონისძიებაზე ტკივილით და ამავე დროს სიამაყით უნდა გავიხსენოთ სამშობლოსთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული თქვენი თანამებრძოლები, ოფიცრები და ჯარისკაცები. ქედს ვიხრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე. წარმატებებს გისურვებთ ქვეყნის ერთიანობისა და უსაფრთხოებისთვის თქვენს საქმიანობაში. ღმერთმა დალოცოს საქართველო!“ - დაასრულა მარგველაშვილმა მიმართვა.

პრეზიდენტის შემდეგ ტრიბუნასთან საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მივიდა. **„ჩვენს ქვეყანას ჰყავს მთავარსარდალი, რომელიც კრიტიკულ მომენტში გვერდში დაუდგება და წაუძღვება ჩვენს შეიარაღებულ ძალებს,“** - მიმართა ალასანიამ სამხედროებს. ალასანია მადლობას უხდის გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც არაერთხელ განაცხადა, რომ შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზების მთავარი გარანტი იქნება. ალასანიას თქმით, პრეზიდენტთან ერთად, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარებას გვერდით დაუდგეს.

თავდაცვის მინისტრი შეიარაღებული ძალებს მიღწევებს აფასებს.

„მინდა, დღევანდელ დღეს, როდესაც საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი პირველად ეწვია შეიარაღებულ ძალებს, მოგილოცოთ ის დიდი შედეგები, რომლებსაც ამ წლების განმავლობაში ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, ჩვენმა ბიჭებმა მიაღწიეთ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მინდა, ქედი მოვიხარო მე-4 ბრიგადის იმ ვაჟკაცი ჯარისკაცების ხსოვნის წინაშე, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე გაიღეს ჩვენი ოჯახების, ჩვენი მომავლის უზრუნველსაყოფად. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მათი ოჯახების მოვლა, მათი სახელის პატივისცემა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოვალეობა იქნება,“ - თქვა მინისტრმა.

მიმართვის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მე-4 მექანიზირებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის მეთაური, მაიორი ირაკლი კალანდაძე დააჯილდოვა სახელმწიფო მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის“. საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო მედალი „საბრძოლო დამსახურებისთვის“ ამავე ბატალიონის პირადი შემადგენლობის კიდევ 15 სამხედრო მოსამსახურეს გადასცა.

პრეზიდენტის შემდეგ თავდაცვის მინისტრს პრემიერ-მინისტრის მასპინძლობა მოუწია. ვაშლიჯვრის ბაზაზე ირაკლი ღარიბაშვილის სტუმრობა სამხედროებთან გიორგი მარგველაშვილის შეხვედრის შემდეგ იყო დაგეგმილი. ღარიბაშვილმა და ალასანიამ თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების დაარსებიდან 14 წლის იუბილე სპეციალური ოპერაციების პირად შემადგენლობასთან ერთად საზეიმოდ აღნიშნეს.

სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედროებმა საბრძოლო სროლების საჩვენებელი სწავლება გამართეს. ტაქტიკურ სწავლებაში „მოწინააღმდეგეზე პირდაპირი იერიში“ UH-1H ტიპის შვეულმფრენები და „კობრას“ საბრძოლო მანქანები მონაწილეობენ. სამხედრო მოსამსახურეები ამოცანების შესრულების დროს გადაადგილების და ბრძოლის წარმოების სხვადასხვა ტაქტიკურ მეთოდებს იყენებდენ.

საჩვენებელი წვრთნის დასრულების შემდეგ ალასანია და ღარიბაშვილი სასროლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ პირად შემადგენლობას მიესალმნენ.

სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ დიმიტრი კიკნაძეს კი სახელმწიფო ჯილდო - ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი გადაეცა.

პირად შემადგენლობას პრემიერ-მინისტრმა მიმართა. **„გერქვას საქართველოს ჯარისკაცი, უდიდესი პატივია. თქვენ სამშობლოს სადარაჯოზე, ხალხისა და ქვეყნის სამსახურში დგახართ. ერთგულებით, საქმის ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თქვენი საბრძოლო წარმატებები შეუპოვრობისა და სიმტკიცის მაგალითია.**

სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების საბრძოლო შემართება, საბრძოლო ტრადიციები სანიმუშოა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის. თქვენი სამსახური განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ეს არის საქმე, რომელსაც მაღალი პროფესიონალიზმი სჭირდება და ჩვენ ვამაყობთ თქვენი პროფესიონალიზმით! გისურვებთ ყველას, ღირსეულად იდგეთ ქვეყნის სამსახურში და თქვენი წვლილი შეიტანოთ საქართველოს მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების პროცესში. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას დღევანდელ დღეს! გისურვებთ წარმატებებს!“ - თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

ლაშა ნაცვლიშვილი ირაკლი შოთაძემ შეცვალა

მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ უწყებაში საკადრო ცვლილებები დაიწყო.

ფარცხალაძის განმარტებით, პროკურატურაში შესაძლოა თანამშრომელთა ე.წ. შიდა შეფასების სისტემა დაინერგოს, რომელიც სხვადასხვა კრიტერიუმებისგან იქნება შედგენილი.

„ეს, ერთი მხრივ, ჯანსაღი კონკურენციის და თითოეული პროკურორის მხრიდან საკუთარ თავზე სისტემატურად მუშაობის მზაობის საფუძველი იქნება, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას მოგვცემს, კონკრეტული პროკურორების საქმიანობის ხარისხი, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები შევაფასოთ, რათა პირველ შემთხვევაში წარმატებული პროკურორების დაწინაურება თუ წახალისება მოხდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - მათი მუშაობის დახვეწა-გამოსწორება,“ - განაცხადა ოთარ ფარცხალაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, ახალი მთავარი პროკურორი გუშინ მთელი დღის მანძილზე უწყების თანამშრომლებთან შეხვედრებს მართავდა.

არსებული ინფორმაციით, ფარცხალაძე, უწყების მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, ცალკეულ პროკურორებსაც შეხვდა. დაუდასტურებელი ცნობით, რიგ პროკურორებს თანამდებობების დატოვება მოუწევთ.

პროკურორების გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია პროკურორმა ლევან ადეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში არც დაადასტურა და არც უარყო.

ადეიშვილი საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს და თავად საგამოძიებო ნაწილში მუშაობას განაგრძობს.

მთავარ პროკურატურაში გარკვეული საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას უწყების პრესსამსახურში ადასტურებენ, თუმცა განმარტავენ, რომ აღნიშნულ საკითხზე დეტალურ ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებენ.

დადასტურებული ინფორმაციით კი, გადადგომის შესახებ განცხადებები უკვე დაწერეს მთავარი პროკურორის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა და თბილისის პროკურორმა მაია მწარიაშვილმა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, ლაშა ნაცვლიშვილი მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი შოთაძემ შეცვალა, რომელიც მუშაობას გუშინ შეუდგა.

„საქართველოს მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ პირველი საკადრო ცვლილებები განახორციელა. საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ ირაკლი შოთაძე დაინიშნა. ირაკლი შოთაძე საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის რანგში მუშაობას დღეიდან შეუდგა. ამ პოსტზე დანიშვნამდე, ირაკლი შოთაძეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა,“ - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ირაკლი შოთაძე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, 2012-2013 წლებში ხელმძღვანელობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტს. 2006-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

რაც შეეხება თბილისის პროკურორს, აღნიშნულ თანამდებობაზე მაია მწარიაშვილი მიხეილ შაყულაშვილმა შეცვალა.

როგორც პროკურატურის საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მიხეილ შაყულაშვილი დედაქალაქის პროკურორის რანგში მუშაობას გუშინ შეუდგა.

შაყულაშვილი პროკურატურის ორგანოებში 2001 წლიდან მუშაობს. ამ პოსტზე დანიშვნამდე მას გორის რაიონული პროკურორის თანამდებობა ეკავა; 2009-2012 წლებში ხაშურის რაიონული პროკურორი იყო; 2007-2009 წლებში მცხეთის რაიონული პროკურორის მოადგილედ მუშაობდა; 2006-2007 წლებში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში შსს-ს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის თანამდებობა ეკავა; 2001 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონულ პროკურატურებში სხვადასხვა თანამდებობებზე.

აღსანიშნავია, რომ გუშინ მთავარ პროკურატურაში ციხის კადრების გამავრცელებელი ლადო ბედუკაძე იმყოფებოდა. ბედუკაძეს პროკურატურაში მისვლის მიზეზი არ განუმარტავს. მისი თქმით, ის უწყებაში დაბარებული არ ყოფილა და არც ახალ მთავარ პროკურორს შეხვედრია.

„არ ვყოფილვარ დაბარებული, ჩემი ინიციატივით ვიყავი. ოთარ ფარცხალაძეს არ შევხვედრივარ. არ მქონია შეხვედრის სურვილი. შეხვედრისთვის არ მოვსულვარ,“ - განაცხადა ბედუკაძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რატომ მივიდა მთავარ პროკურატურაში ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნის დღეს, ბედუკაძემ უპასუხა, რომ **„უბრალოდ, დაემთხვა“.**

უშიშროების საბჭოს ახალ მდივანს მოადგილეები ჯერ არ დაუნიშნავს

ეროვნული უშიშროების საბჭოს ახალ მდივანს ირინა იმერლიშვილს მოადგილეები ჯერ არ დაუნიშნავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საბჭოს აპარატში განუცხადეს.

ირინა იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად ოფიციალურად გუშინწინ დაინიშნა. თანამდებობაზე მისი დანიშვნის ბრძანებას პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მოაწერა ხელი.

იმერლიშვილამდე უშიშროების საბჭოს გიგა ბოკერია ხელმძღვანელობდა, რომელმაც გადადგომის შესახებ განცხადება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე დაწერა.

გიგა ბოკერიას მოადგილეებად უშიშროების საბჭოში ბათუ ქუთელია და თამარ კინწურაშვილი მუშაობდნენ.

გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ თბილისის მომავალი მერი გამოცდილი მენეჯერი უნდა იყოს

ახალი ამბების სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ საიტზე გამოკითხვა ჩატარდა, რომლის კითხვაც ასეთი იყო - „როგორი უნდა იყოს თბილისის მომავალი მერი“

გამოკითხვის შედეგები ასე გადანაწილდა: გამოკითხვაში მონაწილეთა 50,2 პროცენტი მიიჩნევს, რომ თბილისის მომავალი მერი გამოცდილი მენეჯერი უნდა იყოს; 30,4 პროცენტის აზრით, მომავალი მერი პატიოსანი ადამიანი უნდა იყოს. 13,1 პროცენტი მომავალ მერად თბილისელებისთვის ავტორიტეტულ პიროვნებას ისურვებდა; 5,3 პროცენტი - გამოცდილ პოლიტიკოსს, ხოლო 1 პროცენტი - პოპულარულ ადამიანს.

გამოკითხვა 16 ნოემბერს დაიწყო და გუშინ დამთავრდა. კითხვას 4672-მა ინტერნეტმომხმარებელმა უპასუხა.

შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, 1964 წელს დაბადებული, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის ნასამართლევი გელა ბ. თბილისში, გოთუას ქუჩაზე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას რამდენიმე შეკვრად დაფასოებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით სულ ამოღებულია 16 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 8 გრ „ჰეროინს“ შეიცავს.

სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გელა ბ. დაკავების მომენტში „ჰეროინის“ და „მეტადონის“ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

დევნილები წლის ბოლომდე ჰუმანიტარული პარტიის ახალ ტვირთს მიიღებენ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ერთი მხრივ, საქართველოს საპატიო კონსულის ბავარიასა და ბად-გიუტენბერში, ბავშვთა კვების სამრეწველო კორპორაციის პრეზიდენტ კლაუს ჰიპსა და დევნილთა სამინისტროს შორის.

დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, კლაუს ჰიპსა და სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობა ერთი წლის წინ დაიწყო. თანამშრომლობის ფარგლებში გერმანიის მხარემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „ჰიპის“ პროექტის ფარგლებში გადასცა ჰუმანიტარული ტვირთი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: საკვები, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ინვენტარი, სპეციალიზებული საწოლები და ეტლები უნარშეზღუდული პირებისთვის.

სამინისტროს ცნობით, ტვირთი განაწილდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა კლინიკებში: ქუთაისში, სენაკში, ბათუმში. გასტროკოპიის აპარატი ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკას გადაეცა. თანამშრომლობა გრძელდება და უკვე ოფიციალურად გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დევნილები წლის ბოლომდე ჰუმანიტარული პარტიის ახალ ტვირთს მიიღებენ.

„ერთი წლის უკან მოხდა პირველი შეთანხმება ბ-ნ კლაუსთან იმ საქველმოქმედო ღონისძიებების შესახებ, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. ახლა ეს მემორანდუმი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ბ-ნი კლაუსი კიდევ უფრო მეტად იქნება ჩართული იმ ქველმოქმედებაში, რომელიც უშუალოდ დევნილებისთვის არის განკუთვნილი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დევნილთა ჯანმრთელობის და უკეთესი ცხოვრების პირობებისთვის ძალიან დიდი საქმეა გაკეთებული. დარწმუნებული ვარ, ბ-ნი კლაუსის საქველმოქმედო ღონისძიება დევნილი ოჯახებისათვის მნიშვნელოვანი იქნება,“ - განაცხადა მინისტრის მოადგილემ მამუკა ცოტნიაშვილმა.

„თუ რატომ საქართველო? მგონი, ეს ბუნებრივია, იმიტომ, რომ ქართველი ვარ, მაქვს ქართული პასპორტი. საქართველოს მოქალაქე ვარ და, რა თქმა უნდა, ეს ჩემი პირდაპირი ვალია. საქართველო ძალიან მიყვარს. არსებობს პრობლემა ტრანსპორტირებაში, ლოგისტიკური მომენტები. ამ ყველაფერს მოვერევით, გადავწყვეტთ და დახმარებას ისევ გავაგრძელებთ. ლტოლვილების თემა ჩემთვის ძალიან ცნობილია. მეც მაქვს განცდილი ეს გრძნობა. ჩვენთანაც ძალიან ბევრი ლტოლვილი იყო მეორე მსოფლიო ომის შედეგად,“ - აღნიშნა კალუს ჰიპმა.

უკრაინის მთავრობამ ხალხი და დასავლეთი შოკში ჩააგდო

პირველი გვერდიდან

უფრო მძიმე იყო უკრაინის ოპოზიციისა და ხალხის დიდი ნაწილის რეაქცია. კიევისა და უკრაინის სხვა ქალაქების ცენტრში სპონტანურად დაიწყო მასობრივი აქციები. ოპოზიცია იანუკოვიჩს სახელმწიფოს ღალატში სდებს ბრალს და იმპიჩმენტით ემუქრება. აშკარად კმაყოფილი პუტინი უკრაინაზე ზეწოლაში ევროკავშირს ადანაშაულებს (!). რუსეთის დუმა კი იანუკოვიჩისგან უკვე საბაჟო კავშირში შესვლის შესახებ განცხადებას ელოდება.

ხუთშაბათსვე, როგორც კი უკრაინის მთავრობამ ევროინტეგრაციის პროცესი შეაჩერა, ხალხმა სოციალური ქსელებით დაიწყო მზადება სპონტანური მიტინგისთვის და გვიან საღამოს დამოუკიდებლობის მოედანზე შეიკრიბა კიდეც. დილას საპროტესტო აქციის მონაწილეთა რაოდენობამ იმატა. მოედანზე, სხვადასხვა შეფასებებით, 1000-დან 2000-მდე ადამიანი იყო მისული. დღისით ყველაზე ხალხმრავალი მიტინგის დროს მოედანზე უკვე 3 ათასი კიეველი იდგა. კიევის გარდა, მსგავსი სპონტანური აქციები ჩატარდა ივანო-ფრანკოვსკში, ლუცკში, უჟგოროდში, ლვოვში და თვით იანუკოვიჩის „ბოსტანში“ - დონეცკში. აქცია კიევში უვადოა და ის, სულ ცოტა, ვილნიუსის სამიტამდე გაგრძელდება. ხელისუფლება კარვების ქალაქებისა და გრძელვადიან აქციების სხვა მსგავსი ატრიბუტიკისგან უკვე იზღვევს თავს. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო და დამოუკიდებლობის მოედანზე, ხრეშჩატიკზე და ევროპის მოედანზე კარვების, ჯიხურების, ტენტებისა და სხვა მსგავსი „მცირე არქიტექტურული ფორმების“ დადგმა აკრძალა. ამასთან, სასამართლოში განაცხადეს, რომ ხალხის მიერ პროტესტის მშვიდობიან გამოხატვას არანაირად არ უშლიან ხელს. მათ მხოლოდ გამოხატვის ფორმის მიმართ აქვთ პრეტენზია. გუშინ სასამართლო აღმსრულებლებმა შესაბამისი დადგენილება მოედანზე შეკრებილებს გადასცეს. პარალელურად მობილიზებული იყო შინაგან საქმეთა სპეცრაზმ „ბერკუტის“, დაახლოებით, 100 სამხედრო მოსამსახურე, თუმცა ჯერ-ჯერობით ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობს. ადგილი არ ჰქონია არც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს და არც სამართალდამცავებსა და ხალხს შორის რამე ინციდენტებს.

ოპოზიციის ლიდერები ვარაუდობენ, რომ კვირას ხალხის რაოდენობა პრინციპულად გაიზრდება. საქმე ის არის, რომ ჯერ ოპოზიციური საპარლამენტო პარტიების ლიდერებმა 24 ნოემბრისთვის ევროინტეგრაციის მომხრეთა დიდი აქცია კიდევ ათი დღის წინ დანიშნეს. ყველა შემთხვევაში, რამდენიმე ათეულ ათას ადამიანს ელოდებიან. გაერთიანებული პარტია „ბატკივშჩინას“ ლიდერი არსენი იაცენიუკი კი იმედოვნებს, რომ კვირას აქციაზე მისულთა რაოდენობა 100 ათასს გადააჭარბებს. ეს კი უკვე, მისი აზრით, ის ძალა იქნება, რომელსაც ხელისუფლებამაც ანგარიში უნდა გაუწიოს.

იაცენიუკისვე განცხადებით, ოპოზიცია პრეზიდენტ იანუკოვიჩის იმპიჩმენტისთვის ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. მათი აზრით, ევროინტეგრაციაზე უარის თქმა სახელმწიფო ღალატია და ამისთვის ხელისუფლებას პასუხი უნდა მოეთხოვოს. იანუკოვიჩის გარდა, ოპოზიცია მთავრობის გადაყენებასაც მოითხოვს.

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი გუშინ უმაღლეს რადაში მივიდა და სცადა, ეს სკანდალური გადაწყვეტილება ეკონომიკური მიზეზებით აეხსნა, თუმცა გაცეცხლებულ ოპოზიციას მისი მოსმენის სურვილი არ აღმოაჩნდა. პარლამენტარები პრემიერს შეხვდნენ შეძახილებით „გაეთრიე!“, „სირცხვილი!“, ობსტრუქცია მოუწყვეს და პრეზიდიუმი ქაღალდის შეკვრებით „დაბომბეს“. აზაროვი ამტკიცებს, რომ მისი მთავრობისთვის ბოლო წვეთი საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული წერილი გახდა, რომელშიც კრედიტის მისაცემად ძალიან მკაცრი პირობები იყო ჩამოთვლილი, მათ შორის კომუნალური ხარჯების გაზრდა.

თუმცა აზაროვი თვით იანუკოვიჩმა „გაყიდა“, რომელმაც ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტესთან სატელეფონო საუბარში აღიარა, რომ უკრაინა რუსეთისგან უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას განიცდის, ევროპა კი უკრაინას ამ ეკონომიკური დანაკარგების ადეკვატურ კომპენსაციას არ სთავაზობს. პრეზიდენტების საუბრის შინაარსი გუშინ გრიბაუსკაიტეს თანაშემწემ გამოაქვეყნა.

უკრაინის გუშინწინდელ ნაბიჯზე გუშინ ვრცლად ისაუბრა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა. მან, მისთვის დამახასიათებელი ციინიზმით, უკრაინაზე უხეშ ზეწოლაში დასავლეთს დასდო ბრალი. პუტინის თქმით, ევროპელები უკრაინის ხელისუფლებას თვით ანტისამთავრობო გამოსვლების დაფინანსებით დაემუქრნენ, თუმცა მსგავსი განცხადება დასავლეთში არავის გაუკეთებია. კულუარული და სატელეფონო საუბრების შინაარსს კი პუტინი „წესით“ არ უნდა იცნობდეს. პუტინმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა იანუკოვიჩისა და გრიბაუსკაიტეს სატელეფონო საუბარზე, სადაც უკრაინის პრეზიდენტი რუსეთის ზეწოლაზე ლაპარაკობდა. რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ საუბრის შესახებ არაფერი იცის და ვერ გამოეხმაურება. პუტინმა ისევ ციინიკურად იხუმრა, რომ იქნებ სატელეფონო საუბრის შინაარსის დადასტურება ამერიკელებისთვის ეთხოვათ. მან კვლავ ვრცლად ილაპარაკა უკრაინისა და რუსეთისთვის ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ეკონომიკურ წამგებიანობაზე, ასევე რუსეთის ბაზრის დაცვის აუცილებლობაზე, რასაც ის აგვისტოს შემდეგ სისტემატურად იმეორებს და რაზეც ჩვენც არაერთხელ ვწერდით. რუსეთის დუმის წარმომადგენლები უკრაინის გადაწყვეტილებას უკვე მიესალმნენ. რუსი დეპუტატები კიევს მოუწოდებენ, შემდეგი ნაბიჯიც გადადგას და საბაჟო კავშირს შეუერთდეს.

გუშინ გამოქვეყნდა იანუკოვიჩისადმი იულია ტიმოშენკოს მიმართვა, რომელიც მედიას ექს-პრემიერის ადვოკატმა სერგეი ვლასენკომ გააცნო. ტიმოშენკო აღიარებს, რომ მას ხუთშაბათის გადაწყვეტილების (ამ ნაბიჯს პანი იულიამ „უკრაინული გე-კა-ჩე-პე“ უწოდა) გაგებისთანავე იანუკოვიჩის მოკვლის სურვილი გაუჩნდა, თუმცა შემდეგ ემოციური ფიქრებისთვის ბოდიშს უხდის და პრაგმატული ნაბიჯების გადადგმას ურჩევს. პატიმარი ექს-პრემიერი იანუკოვიჩს მოუწოდებს, სასწრაფოდ უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიოს და რუსეთის ზეწოლის თავიდან ასაცილებლად გზები დასახოს. მან იანუკოვიჩს სამი კონკრეტული რჩევა მისცა: 1) უკრაინის განვითარების ვექტორი არიჩიოს იმის მიუხედავად, თუ როგორ იმოქმედებს ეს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე; 2) არც ერთ შემთხვევაში არ დარჩეს მარტო რუსეთთან და 3) ნუ აქვს მისი გათავისუფლების კომპლექსი. ოპოზიციას კი კვლავ მოუწოდა, ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად ნებისმიერ კანონპროექტებს მისცენ ხმა.

უკრაინის გადაწყვეტილებაზე დასავლეთის რეაქცია ალბათ ცალკე ვრცელი სტატიის თემაა, თუმცა მაინც შევეცდებით, დღესაც მოკლედ შევეხოთ. განცხადებები გააკეთეს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში კეტრინ ეშტონმა, ევროკომისარმა გაფართოების საკითხებში შტეფან ფულემ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა, ევროპარლამენტის ხელმძღვანელობამ და ამ ორგანოს მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელებმა პეტ კოკსმა და ალექსანდრ კვასნევსკიმ, ევროკავშირის თავმჯდომარე სახელმწიფოს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკიავიჩუსმა, პოლონეთის პრემიერმა და სხვებმა.

დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელობის პათოსი ასეთია: ისინი უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო იმედგაცრუებას გამოთქვამენ, ოფიციალურ კიევს მოუწოდებენ, უკრაინისთვის ბუნებრივ ევროპულ კურსს დაუბრუნდეს, აცხადებენ, რომ უკრაინისთვის კარი ღია რჩება, მაგრამ აუცილებელი მოთხოვნები მაინც უნდა შესრულდეს. ფულემ, რომელმაც ხუთშაბათს კიევში ჩასვლა გადაიფიქრა, გუშინ განაცხადა, რომ მაშინვე ჩავა, როგორც კი უკრაინის ხელისუფლება ამის სურვილს გამოთქვამს. ალექსანდრ კვასნევსკიმ ხარკოვში იულია ტიმოშენკოს მონახულების შემდეგ განაცხადა, რომ დრო ჯერ კიდევ რჩება და იმედი საბოლოოდ არ არის დაკარგული, თუმცა ხუთშაბათს ამბობდა, რომ უკრაინა ხელშეკრულებებს ხელს არ აწერს და ეს მისი არჩევანია. ლინას ლინკიავიჩუსმა უკრაინისგან დამატებითი განმარტებები მოითხოვა და ასევე უარყო ევროკავშირის მონაწილეობა აზაროვის ანონსირებულ „სამმხრივ კომისიაში“, რაზეც კიევი და მოსკოვი თანახმა არიან. პოლონეთის პრემიერმა დონალდ ტუსკმა უკრაინას გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა და ისიც თქვა, რომ თუ საჭირო იქნება, პრეზიდენტი კომოროვსკი ვილნიუსის სამიტამდე ჩავა კიევში ვიზიტით. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებს ხელი მაშინ მოეწერება, როცა უკრაინა ეკონომიკის ევროსტანდარტების მიხედვით რეფორმირებისთვის მზად იქნება. ყველაზე მკაცრი და არადიპლომატიური კომენტარი კი შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა გააკეთა, რომელმაც „ტვიტერზე“ დაწერა, რომ „უკრაინის ხელისუფლება რუსეთს წაუწვა“ და ეს გზა ევროპული უკრაინისთვის არაბუნებრივია.

კიევის ცენტრალურ მოედანზე კი ხალხი მატულობს, იქ უკვე ათასობით ადამიანია შეკრებილი.

ორშაბათს უკრაინის თემას კვლავ დავუბრუნდებით.

სირიაში „ალ ქაიდას“ მოკავშირეებმა თურქეთთთან ახლომდებარე ქალაქი დაიკავეს

ხუთშაბათს სირიის ოპოზიციის აქტივისტების განცხადებით, „ალ ქაიდასთან“ დაახლოებულმა ჯგუფმა სირიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი დაიკავა, იქიდან სხვა ისლამისტი შეირაღებული მებრძოლები გააძევა და მათი ლიდერი დააკავა. სირიის კონფლიქტში სწორედ „ალ ქაიდას“ ჩარევის შემდეგ შეცვალა დასავლეთმა დამოკიდებულება სირიის ოპოზიციის დახმარების მიმართ. ოპოზიციის განცხადებით, „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა იმ ისლამისტური დაჯგუფების შტაბ-ბინა აიღეს, რომელიც ქალაქ ატმას აკონტროლებდა. მათ „შუქურ ალ-ისლამის“ ლიდერი მუსტაფა ვადაფი თანმხლებ ათამდე პირთან ერთად დააკავეს. „შუქურ ალ-ისლამი“ „სირიის თავისუფალი არმიის“ დანაყოფია. „როიტერის“ ცნობით, ამის შესახებ „სირიის თავისუფალ არმიას“ ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. ქვეყანაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც 100 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

თურქეთში 4,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

თურქეთის აღმოსავლეთში, ქალაქ ვანში 4,5 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. სააგენტო „DHA“-ს ცნობით, მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. რყევები ადგილობრივი დროით 05:00 საათზე დაფიქსირდა. თურქეთში ყველაზე ძლიერი მიწისძვრა 1999 წელს მოხდა, რასაც 17 000 ადამიანი შეეწირა. საკმაოდ ძლიერი იყო მიწისძვრა ვანის პროვინციაში 2011 წელს, რასაც 600 ადამიანი ემსხვერპლა.

მოამზადა თამთა კახაძემ

რიგაში სავაჭრო ცენტრის ჩამონგრევას მსხვერპლი მოჰყვა

პირველი გვერდიდან

ტრაგედია საღამოს ექვსიდან შვიდ საათამდე პერიოდში მოხდა, როდესაც მაღაზიებში ტრადიციულად ხალხის რაოდენობა პიკს აღწევს. თავდაპირველად სახურავის ნაწილი ჩამოინგრა, შემდეგ კი იმავე სახურავის მიმდებარე ნაწილი და ერთი კედელი. შესაბამისად, დაშავებულებსა და დაღუპულებს შორის სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლებიც მოხვდნენ, რომლებიც ნანგრევებში მოყოლილი ხალხის ამოყვანას ცდილობდნენ. დანგრეულია, დაახლოებით, 500 კვადრატული მეტრის ფართობის სახურავი. უფრო ზუსტად, დაღუპულია სამი მაშველი, მათ შორის - ჯგუფის მეთაური. არიან დაშავებულებიც.

სამაშველო სამუშაოები მთელი ღამე მიმდინარეობდა და პარასკევსაც გაგრძელდა. ნგრევის მეორე ეტაპი უკვე შეკრებილი ხალხის თვალწინ მოხდა, როდესაც პოლიციას და შესაბამის სამსახურებს ტრაგედიის ადგილი უკვე შემოღობილი ჰქონდათ. ამის შემდეგ მათ ხალხი კიდევ უფრო უკან დასწიეს.

კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ ტრაგედიის ადგილზე მისვლისას მათ იქ უკვე ყველანაირი სამაშველო თუ სხვა სამსახურების წარმომადგენლები დახვდათ. საქმეში ჩართული იყო სახანძრო სამაშველო სამსახური, პოლიცია, არმია, მოხალისეები და სამედიცინო ბრიგადები. სიტუაცია საკმაოდ ემოციური იყო. ხალხი ცდილობდა ახლობლებთან დარეკვას, რომლებიც შესაძლოა, სავაჭრო ცენტრში იმყოფებოდნენ. გადარჩენილთა ნაწილი ნანგრევებიდანაც ახერხებდა დარეკვას. გუშინ საღამომდე ცენტრის სამ თანამშრომელს ვერ პოულობდნენ. ახლობლები მათ ტელეფონებზე ურეკავდნენ, ამ დროს მთელი ტექნიკა მუშაობას აჩერებდა და მაშველები ნანგრევებში ზარის ხმის გაგონებას ცდილობდნენ.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სამშენებლო ნორმების დარღვევის გამო. შენობა 2011 წელს არის აგებული. ტრაგედიის ადგილზე სასწრაფოდ მივიდნენ ლატვიის პრემიერი ვალდის დომბროვსკისი, შინაგან საქმეთა მინისტრი რიხარდ კოზლოვსკისი და რიგის ვიცე-მერი ანდრის ამერიკსი. რიგის მერმა ნილ უშაკოვმა შვებულება სასწრაფოდ შეწყვიტა და დედაქალაქში დაბრუნდა. მან უკვე გასცა განკარგულება, შემოწმდეს ყველა ობიექტი, რომელზეც სამუშაოებს აწარმოებს და აწარმოებდა კომპანია „Re&Re“ - სწორედ ამ კომპანიის აგებულია „მაქსიმას“ აღნიშნული შენობა.

ნგრევის მიზეზებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. თავიდან გაჩნდა ვარაუდი, რომ შენობაში შესაძლოა, გაზის ბალონი აფეთქდა, თუმცა გაირკვა, რომ ასეთი აფეთქების ხმა არავის გაუგონია. თქვეს, რომ მხოლოდ მილის გასკდომის მსგავსი ხმა გაისმა. ნგრევამდე ორიოდე საათით ადრე შენობაში სიგნალიზაცია ჩაირთო, მაგრამ სავაჭრო ცენტრი ჩვეულებრივად აგრძელებდა მუშაობას. როგორც ირკვევა, შენობაში სიგნალიზაცია ბოლო ორიოდე კვირის განმავლობაში ხშირად ირთვებოდა. პირველი ჩამონგრევის შემდეგ რკინის კონსტრუქციები დაიღუნა და კარები გაიჭედა, რის გამოც ხალხს შენობის დატოვება გაუჭირდა.

შენობის სახურავზე დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობდა - მასზე გამწვანებას აკეთებდნენ. შესაბამისად, სახურავის ჩამონგრევის მიზეზი შეიძლება, სწორედ ეს სამუშაოებიც გამხდარიყო. რიგელები ამბობენ, რომ მათ ქალაქში ასეთი საშინელი ტრაგედია, სულ ცოტა, ოცი წელია, არ მომხდარა.

სხეულის სამყაროები, აგურების ხელოვნება და ჩაძირული ხომალდები

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ



„მუზეუმი „დისკოვერი - თაიმს სკვერი“ (2009) ნიუ იორკის ერთ-ერთი კი არა ერთადერთი ყველაზე დიდი იმერსიული საგამოფენო „ინსტიტუტია“, სადაც მნახველი შესვლისთანავე გამოფენის ისტორიულ თუ თანამედროვე შინაარსში იძირება და თავად შეუძლია ვირტუალურ სამყაროში შეღწევისთვის საჭირო ღილაკების მიჭერ - დაჭერის გარეშე იმოგზაუროს იქ და იმჟამად და ამავე დროს იყოს აქ და ამჟამად. „ნიუ იორკ თაიმსის“ ძველ შენობაში განთავსებული მუზეუმის თითოეული მოძრავი ექსპოზიცია გარდა სანახაობითი დანიშნულებისა უნიკალური შემეცნებითი გამოცდილებაა დაწყებული ჩაძირული ტიტანიკის „განცდებით“, ლეონადრო და ვინჩის სახელოსნოს ანტურაჟით, ტუტანჰამონის პერიოდის აურითა და ჰარი პოტერის მოაგზაურობით დამთავრებული. ამერიკელებმა „Discovery“-ის ტრადიცულად ეგზოტიკური და სასწავლო გამოფენები Must See (უნდა ნახო) კატეგორია მიანიჭეს. ამჟამად მოქმედი ერთბაშად სამი საგამოფენო ექსპოზიცია, რომელიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, კონტრასტული შხაპის ეფექტს ქმნის. ერთგან გიუნტერ ვან ჰაგენსის ცოცხალი ადამიანის კუნთებისგან, სისხლძაღვებისგან, ნერვებისგან, ორგანოებისგან, ჩანასახებისგან შექმნილი „სამყაროებიდან“ ინაცვლებ მხატვარ ნათან სავაიას ლეგო - აგურებისგან შექმნილ „სკულპტურებში“, სადაც მარტივი, საბავშვო სათამაშოს მასალა ტრანსფორმირდება ექსკლუზიურად ორიგინალურ ხელოვნებაში, იმ ფიგურებში, რომლებიც ბავშვობიდან იცი: „მონა ლიზა“, „ნეფერტიტი“, „კოცნა“, ხოლო ფინალში თავადაც შეგიძლია აბსტრაქტული ფორმის ძეგლის აგებაში მიიღო მონაწილეობა, საკუთარი რიგითი ნომრიან-სახელგვარიანი ლეგო დაამატო და „შენების პროცესში“ წვლილი ამგვარად შეიტანო; და ბოლოს ხომალდის დაღუპვის მტკიცებულებებს გადაეყარო - არტეფაქტებს წყლის ფსკერიდან: მონეტები, სამკაულები, მინისა და ფაიფურის ჭურჭელი, ხის ნაკეთობები, გემის შიდა მოწყობა, ჭოგრიტები, წყალში სამძებრო სამუშაოების ტექნიკა... „ანატომიური სუნებიდან“ პლასტმასის სამშენებლო მასალის გავლით ვიდრე მარილიანი წყლის გემოს შეგრძნებამდე...

როგორც სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულს კარგად მახსოვს ის შეგრძნება, პათანატომიის კათედრაზე გვამის გაკვეთის პრაქტიკუმზე დასწრებისას რომ გამიჩნდა... „გონებიდან არასოდეს ამომივა ის სცენა. მინდოდა გავცქეულიყავი და არასოდეს დავბრუნებოდი არა თუ ჩემს პროფესიას, არამედ - ქალაქსაც. და ასეც მოვიქეცი. გავედი. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა ამგვარ რამის ცქერას ნებაყოფლობით დავთანხმდი. არა, კიდევ იყო მოგვიანებით - საგანი სახელად „სამედიცინო ექსპერტიზა“, რომლის შესწავლა თბილისის ომს დაემთხვა, როცა „არამიანცის საავადმყოფოს“ მორგში სამოქალაქო ომის გვამები მოჰქონდათ და რახან „ლითონის მოგრძო მაგიდებზე არ ეტეოდნენ, ძირს, კაფელისა და ბეტონის იატაკზე ჰყრიდნენ ... „გორებად. მაგრამ ის „უკვე არ იყო პრაქტიკუმის „ფორმატი“. გიუნტერ ვონ ჰაგენსის „ანატომიური „პრეპარატების“ „გალერეამ ის არც ისე შორეული წლები გამახსენა. მისი ფიგურები ადამიანის ნამდვილი ხორცი, სახსრები და მყესებია, ოღონდ მოძრაობაში გაშეშებული. თუმცა თუ ექსპოზიციის „ინტერპრეტაცია“ არ წაგიკითხვთ, იგი შეიძლება ისე დაათვალიეროთ, რომ ასე არც გეგონოთ; არამედ იფიქროთ, რომ თქვენს წინაშე გასაოცარი სიზუსტით შექმნილი მულაჟია - ადამიანის სხეულის ლაბირინთები და სიგრძე-სიგანის ანალოგიები. და თუ მნახველთა კომენტარებით ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ ვიზიტორებს, მათ შორის, ბავშვებს „სხეულის სამყაროები“ პლასტმასის სიმულაციები ჰგონიათ. თუმცაღა თავად მათი შემქმნელი ირწმუნება, რომ ამ სხეულებიდან „ორგანიკა“ მაქსიმალურადაა გამოდევნილი...

1945 წელს პოლონეთში დაბადებული გიუნტერი მშობლებმა რუსულ ოკუპაციას გადაარჩინეს და ხუთი დღის ბავშვი, სარეცხის კალათაში დამალული, ბერლინის გავლით პატარა გერმანულ ქალაქ გრეიზში ჩაიყვანეს, სადაც იგი სრულწლოვანებამდე ცხოვრობდა. ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა, მერე კი ექიმი და სამოქალაქო აქტივისტი გახდა, რომელიც კომუნისტურ ტოტალიტარიზმსა (რამდენჯერმე დასავლეთში გაქცევაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ) და საბჭოთა რეჟიმს აქტიურად აპროტესტებდა, მათ შორის, ჩეხოსლოვაკეთში რუსული ტანკების შეჭრას, რის გამოც აღმოსავლეთ გერმანიაში ერთი წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს, ხოლო დასავლურგერმანულმა მთავრობამ მის გასათავისუფლებლად 20 ათასი დოლარიც კი გადაიხადა. გიუნტერ ვონ ჰაგენსი ნოვატორი ანატომი გახდა, რომელიც სხეულის ხრწნას მის მიერვე გამოგონილი პლასტინაციის მეთოდით (1977) აჩერებდა, როცა მკვდარ სხეულს ჯერ გაყინულ აცეტონში ათავსებდა, შემდეგ კი თხევად პოლიმერში. მერე ვაკუუმის მეშვეობით აცეტონს უკან გაიწოვდა და სიცარიელეში სილიკონს ათავსებდა. 15 წლის შემდეგ კი ჰაგენსი პლასტინაციის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გახდა, მოგვიანებით კი გვამების საგამოფენო ექსპოზიციების შექმნა დაიწყო და თავისი ქმნილებებთან ერთად - მსოფლიოში მოგზაურობაც. მის „ბიზნესთან“ არა ერთი სკანდალია დაკავშირებული და იგი უმთავრესად გვამების მოპოვების ხერხს ეხება. თუმცაღა, როგორც წესი, სამართლებრივი კუთხით აქ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდება ხოლმე. ძალიან ხშირად, ადამიანები მას თავის სხეულებს ანდერძში ანუ ნებაყოფლობით უტოვებენ. მისი მეუღლე, ასევე მედიკოსი ანჯელინა უალი კი ქმრის საქმეების მენეჯერიცაა და ექსპოზიციების, ასე ვთქვათ, დიზაინერი/კურატორიც.

ცხადია, გამოფენის დათვალიერებისას უცნაური გრძნობა თან გდევს და თავიდან ჯერ სამედიცინო უნივერსიტეტის რომელიღაც კათედრაზე გგონია თავი ან დიეტოლოგის კაბინეტში ან ანტინიკოტინური კამპანიის ატრიბუტების საწყობში ანდა გინეკოლოგიურ განყოფილებაში. კედელზე გაკრული მსოფლიოს სამზარეულოების ფოტოსერია გვაჩვენებს ქყვეყნის საშუალო სტატისტიკური მოქალაქის სამზარეულოში რა და რა სახის საკვები ინახება. მათ შორის, Junk Food-იც. მინის ქვეშ გამოდებულია ჯანსაღი და თამბოქოსგან გამჭვრატლული ფილტვები; კოლბებში რამდენიმე დღიანი ჩანასახიდან ვიდრე რამდენიმე კვირიანამდე... მოკლედ, ჩარლზ ბუკოვსკის „სხეულის სიტყვები“ შეიძლება გაგახსენდეს: „ჩემი სისხლი დაბინძურებულია და ჩემს ტვინში მუქი ანგელოზი ზის“... ჩემი აზრით კი, გამოფენა დიდი რეფლექსიის განწყობაზე სულაც არ გაყენებს, თოთქოს ხარ ნეკროფილიისა და აბსურდის თეატრის შემინულ კატაკომბებში, სადაც უნიკალური ფენომენალური სიზუსტითა და ნატურალიზმითაა ნაჩვენები თავის ტვინის სისხლით მომარაგება, ნერვთა განშტოებები და ტოპოგრაფია. და ამავე დროს თითქოს ზიზღს არ იწვევს, არამედ... მხერბაჩეჩილ დაბნეულ ღიმილს. ისევე როგორც ღიმილს იწვევდა სასწავლო დარბაზში სტუდენტობის დროს ჩონჩხის პლასტმასების ჩხარუნი ანდა ნიუ იორკში ექიმის კაბინეტის სავიტრინო რეკლამისთვის გამოდებული თავის ქალა დაკრეჭილი კბილებით. შიშველი ქალები და კაცები, უკანოდ, კუნთების დაძაბვით გაშეშებულნი ჰაერში, მოსიარულეები, მოცეკვავეები, მუხლებზე დამხობილები, სპორტულ შეჯიბრესბისას, სამად გადახლეჩილები და შუაში წითელი გულით ანდა ფეხმძიმე ქალი ხუთი თვის ნაყოფით; ტვინი, ხერხემალი, ცხიმოვანი ქსოვილი, სასქესო ორგანოები, თითის ფალანგები, გული, თირკმლები პროფილსა და ანფასში, ცალკე და სისტემაში...

პირადად მე ეპატაჟის განცდა არ გამიჩნდა. როცა ავტორი ძალიან ცდილობს იყოს „ექსტრემალური“, იგი თავად ემსგავსება „უცნაურ ტრაგიკომიკურ პერსონაჟს, რომელიც კანიდან ძვრება (ერთ-ერთ მის პერსონაჟს აშრევებული საკუთარი კანი აღმართულ ხელში უჭირავს), ოღონდაც სხვათა კანს რამენიარად დაბურძგლოს“. ალბათ, სწორედ ამიტომაც „უანდერძა გიუნტერ ვან ჰაგენსმა თავისივე შოუს საკუთარი სხეული, რათა მისგანაც იგივე გააკეთონ, რასაც ამდენი წლის განამვლობაში თავად აკეთებდა... ოღონდ უნდა, რომ საგამოფენო დარბაზის შესასვლელთან მნახველს მისი გაშეშებული, „უსიცოცხლო კუნთები მიესალმოს. არადა ჩანაფიქრი ძალიან მარტივია - იქ, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი წაშლილია, წაშლილია ზღვარი პრივატულსა და საჯაროს შორის... მაღალ კოლბაში მოთავსებული ჩანასახიდან ვიდრე ღრმად მოხუცებულის ანდა ავადმყოფობისგან დასნეულებულის აღნაგობამდე. დაკონსერვებული სიცოცხლე და სიკვდილი. და რა უნდა იყოს ამაზე ტრივიალური, ვიდრე დაბადება, მოძრაობა (ამ გამოფენას ჰქვია „სხეულის სამყაროები: პულსი“), სიკვდილი? გამოფენის დაწყებამდე მნახველებს მცირედი ვიდეომიმოხილვა - შესავალი ელის, სადაც გრაფიკულ-ანიმაციურად ახსნილია ცხოვრებისგან სწრაფი დაღლის მიზეზები - ამაოებათა ბაზარი თავისი საოჯახო და სამსახურეობრივი ვალდებულებებით, საინფორმაციო ნაკადებითა და ქალაქის გიჟური რიტმით, რომელიც ისე ესარტყლება ადამიანს, როგორც საკუთარი კუნთები და კანი. შოკი ამ ჯერზედ იმიტომაც არ და ვერ მივიღე, რომ ადრეც გახლდით გიუნტეს ვან ჰაგენსის ამგვარ გამოფენაზე ნიუ იორკში და თანაც მარინა აბრამოვიჩის „ბალკანური რენესანსი“ ხორცგაცლილი ძვლებით უფრო მოქმედებს მგრძნობელობით არხეზე, ვიდრე - „ლენინისა და ტუტანხამონის „კარგად შენახული“ სხეულები. „აღარაფერს ვამბობ „დიდი ხნის წინ კიევ-პეჩორის ლავრაში წმინდანად შერაცხულ „უხრწნელ სხეულებზე“, რომელიც, ფაქტობრივად, ჩონჩხია და არა ფერდაუკარგავი ბიცეფსები და მზის წნული. ანდა რა უნდა გამიკვირდეს, როცა ჩემს პაციენტთა შორის ჰოსპისის სერვისის მომხმარებლებიც არიან. სხვათა შორის, ამბობენ ვატიკანს თურმე „წარმოებია კიდეც მოლაპარაკება გიუნტერ ვან ჰაგენსთან რომის პაპის იოანე პავლე მეორის სხეულის პლასტინაციის თაობაზე, მაგრამ - ამაოდ. ღმერთმა „უწყის, რის გამო ჩაიშალა მიმიფიცირების ეს საუკუნო პროექტი. საქართველოში კი თბილის-ქუთაისის გზაზე, რამდენადაც მახსოვს, ერთი შეძლებული „კანონიერი ქურდის“ „შვილი თაფლშია ჩასვენებული „ჯვარაღმართულ სარკოფაგის ქვეშ, რომელიც შორიდან პატარა ეკლესიას ჰგავს; და ამას ემატება - სამეგრელოში გარდაცვლილის მიწის ზემოთ „შენახვის“ „არაერთი „ქეისი“. ოჰ, ეს მაზოოლეუმიზაციისა და სილიკონიზაციის ვნებები....

■ ■ ■

პროფესიით იურისტმა ნათან სავაიამ, რომელიც წარმატებულ „საადვოკატო კომპანიაში მუშაობდა და ექვსნიშნა ხელფასიც ჰქონდა, ერთ მშვენიერ დღეს იურისპრუდენციას თავი დაანება და სამუშაოდ LEGO სათამაშოების კომპანიაში გადავიდა. 5 წლის ასაკში მისი გატაცება ლეგოს ინჟინერია იყო და 20 წლის შემდეგ, „ალბათ, იფიქრა, რომ ახლა დრო დადგა აეშენებინა ის, რაზეც შორეულ ბავშვობაში ოცნებობდდა. მერე LEGO - საც გამოეყო, ცოტა ხანში კი თავისი ლეგო - არტსტუდიაც გახსნა და სავსებით სერიოზულად გაერთო. თან წარმატებულადაც. მას კომპანია LEGO-მ სერთიფიცირებული „პროფესიონალისა და „ლეგომშენებლობის“ „ოსტატის სტატუსი მიანიჭა. ნათან სავაია ლეგოს აგურებისგან ქმნის ფიგურებს, რომელთა სიდიდე ასჯერ და მეტად აღემატება ჩვეულებრივი სათამაშოს ზომებს და, ფაქტობრივად, ჩვენთვის ნაცნობი ხატების-ნახატების, კონსტრუქციებისა და ფიგურების „ცათამბჯენებს“ ქმნის. სავაიას „ლეგოკონსტრუქციებმა მთელი ამერიკა შემოიარა და „უქციონებზე პლასტმასის ნაკეთობებისთვის არაადეკვატურ ფასადაც კი გაიყიდა. გამოფენაზე „აგურის ხელოვნება“ წარმოდგენილია ძველბერძნული „სკულპტურებიდან და „რენესანსის დროინდელი მხატვრების ნამუშევრებიდან დაწყეული „ვიდრე „ბემოლის ადამიანის თავიან ფიგურამდე და „ცისფერ წყალში მოცურავემდე დამთავრეული. „აი, „მონა ლიზა“, რომელსაც „შორიდანვე „სცნობ და რომელიც 4 573 „აგურისგან „შედგება, „გოგონა მარგალიტის „საყურით“ - 1 694 „აგური, „სფინქსი - 2 604, „დინოზავრი - 80 020 და „ა.შ. 11 014 „აგურისგანაა „შექმნილი „ყვითელი“ - „ადამიანის „ყვითელი „ფერის „ფიგურა, „რომელიც „თითქოს „გულს „იხსნის „და „იმის „მაგივრად, „რომ „სემ „მენდეზის „„ამერიკული „სილამაზის“ „საკულტო „სცენის - „ქალის „მკერდიდან „ამოფრენილი „ვარდის „ფურცლები „ჰაერში „აფრიალდეს, „გახსნილი „მკერდიდან „თუ „სხეულიდან „(აქ „რაღაცით „გიუნტერ „ვან „ჰაგენსის „იდეები „გამახსენდა) „სიცარიელე „და „ისევ „ყვითელი „აგურები „ძირს „იყრება - „სიმძიმის „ძალის „მოქმედებით. „თუმცა „ნათან „სავაიას „წითელგულიანი „ობიექტიც“ „აქვს. „თავისუფლების „ქანდაკება, „რომლის „ცარიელ „მკერდში „სიყვარულის „სიმბოლო - „გული „იმზირება. „საკუთარ „თავს „კი „იმაზე „იჭერ, „რომ, „ერთი „შეხედვით, „პრიმიტიულ „გასართობში“ „სულ „სხვა „რაკურსაც „ხედავ, „თითქოს „ბავშვობისდროინდელი „კუბიკები“ „ინფანტილიზმის „საზღვრისკენ „გექაჩება „და „თან „მახსენდება „ღრმა „ბავშვობაში „როგორ „ვაგებდი „სათამაშო „სახლებსა „და „პორტატიულ „ავეჯს „შეწებებული „ასანთებისგან „ანდა „ერთხელ „მე „და „ჩემმა „ძმამ „დედას „8 „მარტს „ბოთლების „ლითონის „სახურავებიდან „როგორ „შევუქმენით „სამი „ბაყაყისგან „შემდგარი „მუსიკალური „ბენდი. „მაშინ „ნამდვილად „არ „მიფიქრია, „რომ „ამგვარი „კრეატივი „ხელოვნებად „მოინათლებოდა. „არადა, „როგორც „ჩანს, „ამ „საკითხზე „დაფიქრება „ნამდვილად „ღირდა. „მოკლედ, „გვამების „აღლუმის „შემდეგ „ნათან „სავაიას „აგურები „სახალისო „განტვირთვაც „და „უაღრესად „საინტერესო „ანცობად“ „მომეჩვენა.

■ ■ ■

„ექსპოზიცია „ჩაძირული „ხომალდები! „მეკობრეები „და „განძი“ „ინტერაქტიული „და „მულტიმედიური „გამოფენაა, „სადაც „500 - „ზე „მეტ „ექსპონატ-კოლექციას „ზღვებისა „და „ოკეანეების „ფსკერზე „მივყავართ „და „უნიკალურ „სამოგზაურო „შოუს „გვიწყობს. „აქ „გამოფენილი „არტეფაქტები „სხვადასხვა „სამეცნიერო „მუზეუმებიდან „და „კვლევითი „ინსტიტიტებიდანაა „შეკრებილი. „აი, „თუნდაც „XVIII „საუკუნის „ოქრო-ვერცხლის „მონეტების „კოლექცია „ანდა „სამოქალაქო „ომის „დროს „ჯორჯიის „ნაპირებთან „ჩაძირული „გემის „საგანძური „ანდა „მეორე „მსოფლიო „ომის „დროს „დაკარგული „გემებიდან „და „წყალქვეშა „ნავებიდან. „ზოგადად „ეს „გამოფენა „ერთგვარი „ისტორიული „სქელტანიანი „ტომებია, „რომელიც „კარგად „ასახავს „მოცემული „ეპოქის „სავაჭრო „ბიზნესის „მდგომარეობას. „გარდა „ამისა „დარბაზში „დგას „სამძებრო „სამუშაოების „მანქანა „Odyssey (Odyssey Marine Exploration, Inc - „ის „წარმოების „დანადგარი) „და „მი „მიერ „ნაპოვნი „საგანძურების „დიდი „ნუსხა. „ამ „„ოდისეის“ „ყვითელმა „ფერმა „კი „ერთი „წამით „მაფიქრებინა - „რაიმე „ეშმაკობა „ხომ „არაა „და „უბრალოდ „ნათან „სავაიას „„ყვითლის“ „ლეგოებთან „ხომ „არა „გვაქვს „საქმე? „2000 „წლიდან „„ოდისეის“ „მეშვეობით „სამი „კილომეტრის „სიღრმეში „ძიების „ოსტატებმა „ფსკერიდან „უკვე „48 „ტონაზე „მეტი „ვერცხლის „ნაწარმი „ამოიღეს. „ასევე „გამოიფინა „არტეფაქტები „სამოქალაქო „ომის „დროს „ჩაძირული „გემიდან „SS Republic, „რომელიც „ატლანტიკის „ოკეანის „ფსკერზე „ძევს „და „რომლის „ტრიუმებსა „და „გამბანზე „წყალში „მაძიებელი „დანადგარის „ZEUS -ის „რობოტირეულმა „ხელმა „ციფრული „ფოტოები „გადაიღო; „ექსპოზიციისთვის „2 500 „ფოტოდან „საინტერესო „ფოტომოზაიკა „შეიქმნა „და „ჩვენთვის „გამოიფინა. „გარდა „ამისა „სპეციალურ „ტრიუმში „ჩაკეტვით „შეგიძლია „შეიგრძნო „სხვადასხვა „სიხშირის „ხელოვნურად „შექმნილი „ქარიშხალი „და „თითქმის „ისევე „შეგეშინდეს „ან „არ „შეგეშინდეს, „როგორც - „გადარჩენილ „თუ „ვერგადარჩენილი „ხომალდის „მეზღვაურებს. „რაც „შეეხება „მეკობრეებს: „მათმა „გამოჩენამ, „ბუნებრივია, „სტივენსონის „განძთა „კუნძული“ „გამახსენდა „და „სომალელი „მეკობრეების „ტყვე „ქართველი „მეზღვურები. „ექსპოზიციაზე „შეგიძლია „მეკობრეთა „გემების „გარჩევა „ისწავლო, „მათ „ტანსაცმელს „შეეხო, „ჭოგრიტით „გაიხედო „და „დალანდო „მეკობრეთა „დროშები „და „საერთოდ, „გვარიანად „გაერთო „და „ერთი „წუთით „მაინც „წარმოიდგინო „თავი „ჯეიმს „ბონდის „ფილმის „პროფესიონალ „მყვინთავ-მოცურავედ „თუ „არა, „ჩემი „ბავშვობის „საყვარელი „ფრანგული „ფილმის „თავგადასავლების „მაძიებელნი“ „გმირად; „გაიხსენო „ის „დრო, „როცა „სკოლაში „ალენ „დელონსა „და „ლინო „ვენტურაზე „ყველა „გოგონა „ვიყავით „შეყვარებული.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025340

შემსყიდველი	ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	22.11.2013 13:00
წინადადებების მიღება იწყება	26.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	28.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	71300000-საინჟინრო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	71300000-საინჟინრო მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური დოკუმენტაცია.
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდალური დღე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	30 ლარი
გარანტიის ოდენობა	30 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025191

შემსყიდველი	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 12:48
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1240 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2013 წლის დეკემბერი (შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად)
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	15 ლარი
გარანტიის ოდენობა	12 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025216

შემსყიდველი	თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 15:05
წინადადებების მიღება იწყება	25.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	5600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	37400000-სპორტული საქონელი და აღჭურვილობა - (ინვენტარი)
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	37400000-სპორტული საქონელი და აღჭურვილობა - (ინვენტარი)
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარულ დღეში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	25 ლარი
გარანტიის ოდენობა	56 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025255

შემსყიდველი	შპს "სანდასუფთავება"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 17:35
წინადადებების მიღება იწყება	07.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3150000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34900000-სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34928480-ნარჩენებისა და ნაგვის კონტეინერები და ყუთები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	300 კომპლექტი
მოწოდების ვადა	არაუგვიანეს 2014 წლის 30 მარტი.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	30000 ლარი
გარანტიის ოდენობა	31500 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025283

შემსყიდველი	აგროსერვის ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 19:49
წინადადებების მიღება იწყება	26.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	28.11.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	12555 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	19500000-რეზინისა და პლასტმასის მასალები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	19520000-პლასტამასის პროდუქცია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღის ვადაში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	55 ლარი
გარანტიის ოდენობა	126 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025280

შემსყიდველი	ქ. თბილისის მერია
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 19:26
წინადადებების მიღება იწყება	08.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8500000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50200000-თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50224200-სამგზავრო ვაგონების აღდგენა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაციაში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	34000 ლარი
გარანტიის ოდენობა	85000 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025281

შემსყიდველი	აგროსერვის ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 19:29
წინადადებების მიღება იწყება	26.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	28.11.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4750 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღის ვადაში.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	48 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025285

შემსყიდველი	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 20:28
წინადადებების მიღება იწყება	26.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	28.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	30000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	ერთი ერთეული
მოწოდების ვადა	საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში,
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	600 ლარი
გარანტიის ოდენობა	300 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

უკრაინა შეიჭრდა, საფრთხე საქართველოს ემუქრება

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, უკრაინის მიერ ევროინტეგრაციის კურსზე უარის თქმა რუსეთის გამარჯვებაა, თუმცა ამან, შესაძლოა, საქართველოს პოზიტიური შედეგი მოუტანოს.

„ეს არის რუსეთის გამარჯვება დასავლეთთან ჭიდილში. ვერ გეტყვით, რომ ეს დასავლეთის დამარცხებაა, მაგრამ ეს არის რუსეთის გამარჯვება. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ შესაძლოა, ჩვენთვის პოზიტიური ნიშნები მოიტანოს. პირველ რიგში, იმ კუთხით, რომ ევროპამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა დააფასოს განუხრელი სწრაფვა დასავლეთისკენ და ყველა იმ ბარიერის გადალახვა, რაც ამ გზაზე აღმოჩნდა. უკრაინასთან ერთად მოქმედება იმ ვაგონს წააგავს, რომელიც ლოკომოტივს არის ჩაბმული. ამ ლოკომოტივის გამოცლით შეიძლება, ამ ლოკომიტივის როლი ჩვენ ვიკისროთ. ეს მეტ საფუძველს მოგვცემს, ევროპისკენ პირველებმა ჩვენ ვიაროთ,“ - განაცხადა სესიაშვილმა.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) ერთ-ერთი დამფუძნებლის ელენე ხოშტარიას თქმით, ამ პროცესიდან საქართველომ გაკვეთილი უნდა მიიღოს და მომავალ ქმედებებში გაითვალისწინოს.

„პირველი გაკვეთილი ის არის, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება ნებისმიერ მცდელობას, ამ რეგიონში ქვეყნებმა სუვერენიტეტი და თავისუფლება მოიპოვონ. რუსეთი ეწინააღმდეგება არა რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციებს ან რამე კონკრეტულ მოვლენას, არამედ ნებისმიერ პროცესს, რომელმაც ჩვენ შეიძლება, უკეთესი ცხოვრება მოგვიპოვოს.

მეორე გაკვეთილია ის ბალანსირების პოლიტიკა, რაც უკრაინას ჰქონდა არჩეული. ჩვენ გვახსოვს, რომ იანუკოვიჩის მთავრობა მოსვლისთანავე ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ სხვაგვარ განცხადებებს აკეთებდა. ეს არის ბალანსირების პოლიტიკის კლასიკური მაგალითი და ეს პრაქტიკულად კრახით დამთავრდა - ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე.

მესამე გაკვეთილია ის, რომ რუსეთი ზეწოლის ყველა ბერკეტს გამოიყენებს, მათ შორის საქართველოზე და ეს უნდა გვესმოდეს. ეს ბერკეტები რუსეთს აქვს და ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ დამატებითი ბერკეტები არ მივცეთ, იგივე ვაჭრობა შეიძლება, რუსეთის ხელში ბერკეტი გახდეს. ამ ბერკეტებს კი რუსეთი, რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებს,“ - ამბობს ელენე ხოშტარია.

მისივე თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უკრაინის უარი შიშის და პანიკის საფუძველი არ უნდა გახდეს.

ხოშტარია მიიჩნევს, რომ ეს პროცესი ევროკავშირის სერიოზულ გამოფხიზლებას და დაფიქრებას იწვევს, რადგან თუ ასე გაგრძელდება, პრაქტიკულად რუსეთი მოახერხებს საბჭოთა კავშირის აღდგენას რაღაც ფორმით.

„ეს კი ევროკავშირის ინტერესი არ არის. ჩვენ ვნახეთ პრინციპში ბოლო დროისთვის უპრეცედენტო განცხადება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ანგელა მერკელისა, რომელიც რუსეთს ძალიან მწვავედ მოუწოდებდა, ამ რეგიონში დამოუკიდებელ სახელმწიფოებს თავი დაანებოს. ეს განცხადება ერთადერთი და გამონაკლისი არ არის. ეს ევროკავშირის გარკვეულ განწყობას ასახავს. გერმანია და რუსეთი პარტნიორი ქვეყნები არიან. გერმანია ის ქვეყანა არ არის, რომელიც ასეთ განცხადებებს ხშირად აკეთებს. მისგან ასეთი მწვავე განცხადება იმაზე მეტყველებს, რომ ევროკავშირი მზად არ არის, რუსეთს დაუთმოს ეს რეგიონი და, შესაბამისად, საქართველო,“ - აღნიშნა ელენე ხოშტარიამ.

ხოშტარია მიიჩნევს, რომ ამ პროცესში საქართველო რუსეთთან საერთო, არარეალისტურ და საშიშ თამაშებში არ უნდა შევიდეს და ამ ქვეყანას კიდევ ერთხელ არ უნდა ენდოს.

„ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეგონოს, რომ ბალანსირებით დასავლეთიც და რუსეთიც ერთად გამოვა. რუსეთთან დაპირისპირება საჭირო არ არის. მთავარი უნდა იყოს დასავლური ინტეგრაციის ძალიან თანმიმდევრული, აქტიური და ინტენსიური პოლიტიკა და მაშინ რუსეთის ვერანაირი ზეწოლა და ხრიკები ამ ჩვენს კურსს ვერ გატეხს,“ - თქვა ელენე ხოშტარიამ.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის გრიგოლ ვაშაძის შეფასებით, რუსეთმა უკრაინის მიმართ თავისი საგარეო პოლიტიკური ამოცანები წარმატებულად გადაწყვიტა და ამის შემდეგ ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოს ემუქრება.

„ამის შემდეგ ყველაზე დიდი საფრთხე, უკრაინას კი არა, საქართველოს ემუქრება. რუსეთმა წარმატებულად გადაწყვიტა ყველაზე გადაუდებელი ამოცანა უკრაინის მიმართ - ნატოსა და ევროპის კავშირის გაფართოების შეჩერება, შემდეგი კი, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიქნებით. ვილნიუსის სამიტიდან იმ თეორიულ მომენტამდე, როდესაც საქართველომ და ევროკავშირმა ხელი უნდა მოაწერონ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტებს - ასოცირების ხელშეკრულებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, ჩვენ შეიძლება, მთელი რიგი პოლიტიკური ინტრიგებისა და პროვოკაციების მსხვერპლი გავხდეთ.

მინდა, კიდევ ვთქვა - რამდენადაც უსიამოვნო არ უნდა იყოს ეს არამოქნილობა, ევროპის კავშირმა ქალბატონი ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტეს მეშვეობით გაგვაფრთხილა, რომ ევროკავშირისთვის შერჩევითი სამართალი მიუღებელია. დღევანდელ ჩვენს პოლიტიკურ ხელისუფლებას, პოლიტიკურ ელიტას უნდა ესმოდეს, რომ ეს ლიტონი სიტყვები არ არის. როგორც უკრაინაში დააყენა ერთი ადამიანის ბედმა კითხვის ნიშნის ქვეშ რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი ორი ორგანიზაციის გაფართოება, ასევე შეიძლება მოხდეს საქართველოსთვის - კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ამავე დოკუმენტის ხელმოწერა,“ - განაცხადა GHN-თან საუბარში გრიგოლ ვაშაძემ.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ ქვეყანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია.

„რამდენიც არ უნდა იძახონ, შესანიშნავად ვართო, ჩვენ ვიმყოფებით უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. მომავალი წელი, დაწყებული ვილნიუსის სამიტიდან ნატო-ს სამიტამდე და თეორიული ხელმოწერის ვადამდე, საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან მძიმე იქნება. ამიტომ, ყოველი განცხადება, ყოველი მივლინება, ყოველი ნაბიჯი სერიოზული განხილვის, შესწავლის და საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზის შემდეგ უნდა იყოს გაკეთებული.

ადამიანმა, რომელიც „ქართული ოცნების“ ფრაქციაშია, უნდა იცოდეს, რომ ავტომატურად არ აქვს უფლება, საგარეო პოლიტიკაზე კომენტარები და განცხადებები აკეთოს, სანამ ეს პროფესიონალებთან არ შეთანხმდება. სხვაგვარად ჩვენ კიდევ უფრო სავალალო შედეგამდე მივალთ,“ - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025282

შემსყიდველი	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 19:35
წინადადებების მიღება იწყება	26.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	28.11.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	5000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	50 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025289

შემსყიდველი	ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 22:09
წინადადებების მიღება იწყება	08.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.12.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	257004 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება , 55510000-სასადილოების მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	600 ბენეფიციარი
მოწოდების ვადა	2014 წლის 03 იანვრიდან - 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - ყოველდღიურად.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1100 ლარი
გარანტიის ოდენობა	2570 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025288

შემსყიდველი	ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 22:09
წინადადებების მიღება იწყება	08.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	192753 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება , 55510000-სასადილოების მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	450 ბენეფიციარი
მოწოდების ვადა	2014 წლის 03 იანვრიდან - 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - ყოველდღიურად.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	800 ლარი
გარანტიის ოდენობა	1928 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025287

შემსყიდველი	ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.11.2013 22:09
წინადადებების მიღება იწყება	08.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	257004 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება , 55510000-სასადილოების მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	600 ბენეფიციარი
მოწოდების ვადა	2014 წლის 03 იანვრიდან - 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - ყოველდღიურად.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1100 ლარი
გარანტიის ოდენობა	2570 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

მოდით სტადიონზე - დღეს დიდი რაგბია!

პირველი გვერდიდან

გუშინ, როცა „მიხეილ მესხზე“ სტუმართა და მოგვიანებით უკვე მასპინძელთა კაპიტნის ვარჯიშები ჩატარდა, რასაც წინ უძღოდა პრეს-კონფერენციები, ქართველთა ახალ-ზელანდიელმა დამრიგებელმა მილტონ ჰეიგმა თქვა, უკვე ის რომ მსოფლიო რეიტინგის მოწინავე ათეულის გუნდს ეთამაშები თავისთავად მის სიძლიერეზე მიუთითებსო. მანუ-სამოა, როგორც მათ ოვალურ სამყაროში იცნობენ (მანუ-სამოა ცნობილი სამოელი მეომრის პატივსაცემად დაანათლეს), იმავე რეიტინგის მერვე საფეხურზეა, ზაფხულში კი სულაც მეექვსე საფეხურს იკავებდნენ. ეს ის გუნდია, რომელსაც არაერთი ბობოლა გაუმწარებია. შორს რომ არ წავიდეთ ზაფხულის სამხრეთაფრიკული ტესტ-მატჩები გავიხსენოთ, სადაც ჯერ შოტლანდიას სძლიეს, ერთი კვირის თავზე კი იტალიას. ორ გუნდზე გამარჯვების შემდეგ კუნძულელებს მასპინძელ სამხრეთ აფრიკასთან მოუწია ბურთაობა. ეგაა, ძალა აღარ ეყოთ და „ქურციკებთან“ დამარცხდნენ. ნუ, სამხრეთ აფრიკა მაინც სხვა ოვალური პლანეტიდანაა.

თბილისში ჩამოსვლამდე სამოამ ევროპული ტურნეს ფარგლებში ირლანდიაში შეიარა, მერე კი ფრანგ „ბარბაროსებთან“ გადაუხვია. ორივე შემთხვევაში ჩვენი დღევანდელი მეტოქე დამარცხდა. ასე რომ, დღეს სამოელები ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ შინ თავაწეულები დაბრუნდნენ. არც ის უნდა დავიწყოთ, რომ მათთვის ბორჯღალოსნებთან შეხვედრას სარეიტინგო დატვირთვაც აქვს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჰეიგმა ესეც თქვა: „კი, სამოა უდავოდ ძლიერი გუნდია. სხვაგვარად ათეულში ადგილს ვერ დაიმკვიდრებდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უშანსოდ ვართ. მთავარია, მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ. მეტად ვაკონტროლოთ ბურთი. დაცვაზე გავამახვილოთ ყურადღება. თუ ჩვენ სწორად გამოვიყენებთ საკუთარ პლუსებს, შევასრულებთ დავალებებს, წარმატებისთვისაც ვიბრძოლებთ. აქვე ვიტყვი, რომ წინა ორი შეხვედრისგან განსხვავებით დაცვას დიდი ჯაფა დაადგება, რადგან სამოა კარგად ჭრის ხაზს, გამოირჩევიან შერკინებით, სისწრაფით, მაგრამ ჩვენც გვაქვს ჩვენი დადებითი მხარეები, რომლებსაც შესრულება უნდა. რა თქმა უნდა, არის რაღაცეები, რომელიც უნდა გამოვასწოროთ. „ოლ ბლექსის“ მწვრთნელიც კი ყოველი თამაშის შემდეგ პოულობს გამოსასწორებელ ელემენტებს. მთავარი ისაა, რომ მოედანზე თავდაჯერებულები გავალთ.

...სამოასთან დაპირისპირებას არ ვუყურებ როგორც უბრალოდ ტესტ-მატჩს. ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია. თუ მოვუგეთ, ეს უდიდესი რამ იქნება მსოფლიო რაგბისთვის, რაც თავის მხრივ, მეტ საშუალებას მოგვცემს შევხვდეთ ძლიერ გუნდებს. იმედია სამოასთან თამაშით, რაღაც გარდატეხას შევიტანთ. შეუძლებელი არაფერია“.

ერთი სიტყვით, ყველანაირი პირობა არსებობს დიდი სარაგბო სპექტაკლისთვის, რომელსაც „მიხეილ მესხის“ სავსე ტრიბუნები უფრო დაამშვენებდა. ყოველ შემთხვევაში, გულშემატკივარს ყველანაირი წინაპირობა აქვს იმისთვის, რომ გიორგობა დღეს სტადიონზე ბორჯღალოსანთა საქმაგოდ მოვიდეს. სამწუხაროდ კანადასთან მატჩისგან განსხვავებით, დღევანდელი შეხვედრისთვის ნაკლები ბილეთია გაყიდული. არადა, დღეს გაცილებით დიდი რაგბია.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე სამოელთა მთავარმა მწვრთნელმა სთივენ ბითემმა განაცხადა, რომ უდავოდ რთული მატჩი ელით გუნდთან, რომელიც თავისი ფიზიკური ძალითა და ძლიერი შერკინებით გამოირჩევა: „ტრავმებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო სასტარტო შემადგენლობის რვა მოთამაშე მოვისაკლისეთ, თუმცა მარცხების გასამართლებლად ეს არ გამოდგება. სამაგიეროდ, ჩვენ მოგვეცა შანსი საქმეში გვენახა სხვა მორაგბეები, რომელთაც შესაძლოა მსოფლიო თასზე ითამაშონ. ირლანდიასთან გუნდურად ვერ ვითამაშეთ და ამის გამო დავმარცხდით, ხოლო „ფრანგ ბარბაროსებთან“ უბრალოდ არ გაგვიმართლა.

საქართველოსთან შეხვედრა ტესტ-მატჩია და რაც გვყავს იმ შემადგენლობიდან, მათ წინააღმდეგ საუკეთესოებს ვათამაშებთ. მსოფლიო თასამდე ჯერ კიდევ ორი წელიწადია. ახალ მორაგბეებს გუნდში დამკვიდრების კარგი შანსი აქვთ, ამისათვის კი, სწორედ ტესტ-მატჩებში უნდა გამოიჩინონ თავი“.

23 ნოემბერი. 16:30 საათი
თბილისი. „მიხეილ მესხი“

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე; 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. მამუკა გორგოძე (კაპ.), 8. გიორგი ჩხაიძე.

სათადარიგოები: 16. სიმონ მაისურაძე, 17. ზურაბ ჟვანია, 18. დავით ქუბრიაშვილი, 19. გიორგი ნემსაძე, 20. შალვა სუთიაშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. თედო ზიბზიბაძე, 23. ბექა წიკლაური.

მთავარი მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი

სამოა: 15. ფაჰატოინა აუტანგავაია, 14. ალაპაატი ლეიუა, 13. ისაია ტუიფუა, 12. ჯონი ლეოტა, 11. ბრანდო ვააულუ, 10. ტუსიატა პისი, 9. კაენ ფოტუალიჰი (კაპ.); 1. საკარია ტაულაფო, 2. ტიჰი პაულო, 3. ჯეიმს ჯონსთონი, 4. პიულა ფაასალელე. 5. ტეოფილო პაულო, 6. ოფისა ტრევირანუსი, 7. ჯეკ ლემი, 8. ფაიფილი ლევავე.

სათადარიგოები: 16. უეინ ოლე ავეი, 17. ვილიამუ აფატია, 18. ენთონი პერენისე, 24. ჯო ტეკორი, 20. ტაიასინა ტუიფუა, 21. ჯერემი სუჰა, 22. სინოტი სინოტი, 23. კენ პისი.

მწვრთნელი: სთივენ ბითემი

რეფერი: რომენ პუატი (საფრანგეთი)

კიდეებზე: ენდრიუ მაკმენემენი (შოტლანდია), ვლად იორდანესკუ (რუმინეთი)

P.S. მატჩზე დასასწრები ბილეთების შეძენა შესაძლებელია მ. მესხის სტადიონის და „დინამო არენას“ სალაროებში. ბილეთის ფასი კვლავ **1 და 3** ლარს შეადგენს.